საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“

MINISTRY OF EDUCATION,
SCIENCE, CULTURE AND SPORT
OF GEORGIA
LEPL COLLEGE „AKHALI TALGA“

MES 3 20 00014818

10/01/2020

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების
დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ ირინე წეროძეს

ქალბატონო ირინე,

2019 წლის 09 იანვრის N10236 წერილის პასუხად გიგზავნით სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ 2019 წლის საქმიანობის მოკლე ანგარიშს.

ავტორიზაციის პროცედურებისა და კოლეჯის ფილიალის დაარსების შესახებ

მოგახსენებთ, რომ სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ ყოველწლიურად ზრუნავს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაზე და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე.

2019 წელს მაღალმთიანი აჭარის რეგიონში, კერძოთ, დაბა ხულოში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, კოლეჯმა დაარსა ფილიალი. შესაბამისად, 2019 წელს კოლეჯმა ავტორიზაციით დაიმატა ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და ოთხ პროგრამაზე გაზარდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რის შედეგადაც კოლეჯს ამ ეტაპისათვის მოპოვებული აქვს უფლება განახორციელოს 45 მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სულ 1848 პროფესიული სტუდენტისთვის, აქედან ხულოში კოლეჯი ახორციელებს ხუთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას 150 პროფესიულ სტუდენტზე. 2019 წელს აღნიშნულ ფილიალში უკვე განხორციელდა 2 მიღება, ორივე მიღებაზე დაფიქსირდა კონკურსი და ამჟამად მიმდინარეობს სწავლება 9 ჯგუფში. დღევანდელი მონაცემებით კოლეჯში სწავლობს სულ 1304 პროფესიული სტუდენტი.

2019 წელს კოლეჯი აქტიურად ჩაერთო პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვაში, გაიარა ავტორიზაცია და ახორციელებს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 8 პროგრამას.

2019 წელს დამსაქმებელთა სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართულობის მიზნით კოლეჯმა გააფორმა 25 ხელშეკრულება.

ქ.ქობულეთი შ. რუსთაველის ქუჩა N 154
ტელ: +995 (426) 26-68-51
www.kpc.ge
ccnewwave@gmail.com

154, Rustaveli Street, Kobuleti
+995 (426) 26-68-51
www.kpc.ge
ccnewwave@gmail.com

პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების მოძრაობის შესახებ

2019 წლის საგაზაფხულო მიღებაზე კოლეჯის მიერ გამოცხადდა რეგისტრაცია 30 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (525 ადგილი), სადაც დარეგისტრირდა 1009 აპლიკანტი, ხოლო 2019 წლის საშემოდგომო მიღებაზე კოლეჯის მიერ გამოაცხადებულ 35 საგანმანათლებლო პროგრამაზე (748 ადგილი) დარეგისტრირდა 1448 აპლიკანტი.

2019 წელს კოლეჯი დუალური მიდგომით ახორციელებდა სწავლებას ტურიზმისა და სამშენებლო მიმართულებით 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 8 ჯგუფში.

2019 წელს პროფესიული კვალიფიკაცია მიენიჭა 688 პროფესიულ სტუდენტს.

2019 წელს კოლეჯმა 14 დამსაქმებელთან ერთად ტურიზმისა და სამშენებლო სფეროში სამ ეტაპად განახორციელა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, სულ 8 პროგარამაზე. დარეგისტრირდა 207 აპლიკანტი (198 ადგილზე). ამჟამად მიმდინარეობს მესამე ეტაპი, 2019 წელს სერტიფიკატი მიენიჭა 114 მსმენელს.

საბიუჯეტო ჯგუფებთან ერთად კოლეჯი ინტენსიურად ახორციელებს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორც ფიზიკური პირების დაკვეთით, ისე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად სხვადასხვა პროექტების ფარგლებში.

2019 წელს განხორციელებულ მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული იყო 1172 მსმენელი, სწავლება ხორციელდებოდა ხუთ ლოკაციაში: ქ.ქობულეთში, დაბა ხულოს ფილიალში, ქ.ბათუმის, ანაკლიისა და ქ.ზუგდიდის ტრენინგ ცენტრებში. განსაკუთრებით აღსაღნიშნავია შემდეგი პროექტები:

- USAID/ZRDA პროექტის მზარდაჭერით სსიპ კოლეჯმა „ახალი ტალღა“ სამეგრელოს რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის კვალიფიკაციის ამაღლების და შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა პროგრამაზე გადაამზადა 141 ბენეფიციარი, აღნიშნული პროექტის განხორციელების პერიოდში სამეგრელოში, კერძოთ ანაკლიასა და ზუგდიდში ფუნქციონირებდა სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ ტრენინგ ცენტრები.
- სსიპ კოლეჯს „ახალი ტალღა“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ქობულეთის რაიონულ განყოფილებასთან ერთობლივი პროექტის ფარგლებში სსიპ კოლეჯმა „ახალი ტალღა“ 2019 წლის განმავლობაში, 2 ეტაპად, 17 პროგრამაზე გადაამზადა 244 ბენეფიციარი.
- სკოლის მოსწავლეთათვის პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის ფარგლებში სსიპ კოლეჯმა „ახალი ტალღა“ 2019 წელს, 2 ეტაპად, 19 პროგრამაზე გადაამზადა 285 ბენეფიციარი (სკოლის მოსწავლე).
- UNDP მხარდაჭერით დაბა ხულოს ფილიალში განხორციელდა შინაური ცხოველის ჯანმრთელობის დიაგნოსტირების მოკლევადიანი პროგრამის ფარგლებში 5 ტრენერის და 10 მსმენელის მომზადება.
- ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრთან ერთად განხორციელებული პროექტის ფარგლებში კონდიტერის სპეციალობაზე მომზადდა სამი სსსმ ბენეფიციარი.
- 2019 წელს სსიპ კოლეჯმა „ახალი ტალღა“ სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსთან ერთობლივი პროექტის ფარგლებში განხორციელა:
    - მომზადების 10 პროგრამა- 75 ბენეფიციარი;
    - გადამზადების 4 პროგრამა- 20 ბენეფიციარი;

- “სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის'' მოსარგებლეთა 7 პროგრამა- 50 ბენეფიციარი;

აღნიშნული პროგრამის განხორციელების პერიოდში ბათუმში ფუნქციონირებდა სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ ტრენინგ ცენტრი.

2019 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 81%.

ხარისხის განვითარების შესახებ

კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტის "ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების" და პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შესაბამისად კოლეჯი მუდამ ზრუნავს ხარისხის განვითარებაზე. ამ მიზნით 2019 წელს მომზადდა და შესაბამისობაში მოვიდა სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტები.

ცვლილებები შევიდა და შესაბამისობაში მოვიდა ახალ, ოპტიმიზირებულ ჩარჩო დოკუმენტთან 20 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

2019 წელს კოლეჯმა დაიწყო მუშაობა საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებისათვის.

განხორციელდა კოლეჯის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვა/გაუმჯობესება.

ჩატარდა კოლეჯის თვითშეფასების პილოტირება ახალი ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში, სადაც გამოიკვეთა რიგი სამუშაოები და 2020 წლისთვის დაიგეგმა კოლეჯის სამოქმედო გეგმა.

განახლდა კოლეჯის ვებ საიტი.

საანგარიშო პერიოდში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გადამზადა 43 პროფესიული მასწავლებელი ოთხი მოდულის ფარგლებში;

საერთაშორისო პროექტების შესახებ

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ 2019 წელს აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო პროექტებში, კერძოდ:

- სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ და ესტონეთის, ქალაქ ვალგას პროფესიულ სასწავლებელთან თანამშრომლობის საფუძველზე 2019 წელს, ესტონეთის მხარის დაფინანსებით, კოლეჯის სამი პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა ქალაქ ვალგას პროფესიულ სასწავლებელში ლოგისტიკის ორწლიან პროგრამაზე. ამავე კოლეჯთან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 2019 წელს ქალაქ ვალგას პროფესიული სასწავლებლის, ლოგისტიკისა და მზარეულის სპეციალობის პროფესიული სტუდენტები 2 კვირის განმავლობაში გადიოდნენ ტრენინგებს (სასწავლო პრაქტიკას) სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ ბაზაზე და მის პარტნიორ ორგანიზაციებში. ასევე სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მზარეულის სპეციალობის პროფესიული სტუდენტები 2 კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ ესტონეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ვალგას პროფესიულ სასწავლებელში, ტრენინგებზე (სასწავლო პრაქტიკაზე).
- 2019 წლის განმავლობაში კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობდა SES ექსპერტთა ორგანიზაციასთან, რომლის ფარგლებშიც კოლეჯში იმყოფებოდა 8 SES ექსპერტი და გადამზადდა კოლეჯის 16 პროფესიული მასწავლებელი.

- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ (GIZ) მხარდაჭერით მიმდინარეობს დუალური პროგრამების დანერგვის პროექტი, რომლის ფარგლებშიც, სხვა აქტივობებთან ერთად, კოლეჯში „მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესებისა და პროფესიული განათლების ექსპერტის“ პოზიციაზე მოღვაწეობს ქალბატონი სონია რუეტსი.
- “Erasmus+” დაფინანსებით პოლონეთის ქ.ობორნიკის ადამ მიცკევიჩის სკოლასთან ერთობლივი პროექტის ფარგლებში დაიგეგმა მეორე ეტაპის განხორციელება, სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ 15 პროფესიული სტუდენტის და 2 პროფესიული მასწავლებლის გაცნობითი ხასიათის ერთკვირიანი ვიზიტი პოლონენთში.
- უკრაინის ქ.ლვოვის დიზაინისა და მშენებლობის უმაღლეს პროფესიულ სკოლასთან (Львівське вище професійне училище дизайну та будівництва) ერთობლივი გაცვლითი პროექტის ფარგლებში 2019 წელს სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ ერთკვირიანი ვიზიტით იმყოფებოდა სკოლის ორი ადმინისტრაციის წევრი, ორი პროფესიული მასწავლებელი და ორი პროფესიული სტუდენტი. ადმინისტრაციის წევრები და პროფესიული მასწავლებლები გაეცნენ კოლეჯის მიღწევებს და დუალური პროგრამების დანერგვის პროცესს, ხოლო პროფესიულმა სტუდენტებმა გაიარეს სასწავლო პრაქტიკა. დაიგეგმა საპასუხო ვიზიტი ქ.ლვოვში.
- 2019 წელს კოლეჯმა მოიძია და დაამყარა კავშირები რამდენიმე ახალ, უცხო ქვეყნის სასწავლებელთან, მათთან დაიგეგმა ერთობლივი პროექტები, კერძოთ:
    - გერმანიის ქ.ბერლინის ბრილატ-სავარინის სკოლასთან (Brillat-Savarin-Schule), რომელთანაც 2021 წლიდან იგეგმება ქართველი და გერმანელი სტუმერთმასპინძლობის სფეროს სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების განხორციელება დუალური სწავლების მიმართულებით, ასევე ადმინისტრაციისა და პროფესიული მასწავლებლებლების გადამზადება;
    - პოლონეთის ქ.მილიცის სატყეო სკოლასთან (Forestry TechnicalSchool in Milicz) დაიგეგმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე“ პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტების გაცვლითი პროგრამები;
    - უკრაინის "ტურიზმის, ეკონომიკისა და სამართლის კიევის უნივერსიტეტთან“ სტუმერთმასპინძლობის სფეროს პროფესიული მასწავლებებისა და სტუდენტებისთვის დაიგეგმა გაცვლითი პროგრამები.

პატივისცემით,

დირექტორი
ხახუტაიშვილი ლაშა